

F 17
1947

F

ს ვ ა ხ მ



ხარატვილოს ხერ განათლების
ხაზინისტრის გრძანებათა
და განაკარგულებათა

კრიტური

შელიჭაღი მიათვა

№ 7

Сборник приказов и Распоряжений
Министерства Просвещения Груз. ССР

1947 წ.

ვ ი ნ ა რ ხ ი

1. ბრძანება № 1058 1947-48 სასწავლო წლისათვის დროულად და სათანადოდ მომზადების შესახებ	2 გვ.
2. ბრძანება № 1981 1946-47 სასწავლო წელს კურსდამთავრებულ ოქრო- სა და ვერცხლის მედლების კანტიდატთა საგამოცდო წერითი ნამუ- შევრების ანალიზის შედეგები გვომეტრია-ტრიგონომეტრიაზი	13 გვ.
3. ბრძანება № 1982 1946-47 სასწავლო წელს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებას კანტიდატთა წერითი ნამუშევრების შედეგების შესა- ხებ აღვებრაში	17 გვ.
4. ბრძანება № 1994 საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი ამოცანე- ბის შესახებ 1947-48 სასწავლო წელში	22 გვ.
5. შიმართვა—განათლების განყოფილების გამეცემსა და ოფიციანი და საშუალო სკოლის დირექტორებს	29 გვ.
6. სასწავლო გეგმა—ქართული დაწყებით, ოფიციანი და საშუალო სკოლების 1947-48 სასწავლო წლისათვის	30 გვ.
7. განმშრება	31 გვ.
8. Приказ № 1994 Об основных задачах школ Грузинской ССР в 1947-48 учебном году	32 გვ.
9. Приказ № 1983 О результатах экзаменационных письмен- ных работ учащихся одиннадцатых классов—кандидатов на золотую и серебряную медаль в конце 1946-47 учебного года	39 გვ.
10. Разъяснение	45 გვ.
11. Учебный план—русских начальных, восьмилетних и средних школ Грузинской ССР на 1947-48 учебный год	46 გვ.
12. Учебный план—азербайджанских и армянских начальных, восьмилетних и средних школ Грузинской ССР на 1947-48 учебный год	47 გვ.

თავისები 1947 წ.



ბრძანება № 1058

სახალითადოს სსრ განათლების სამინისტროს სადაც

1947 წლის 28 მაისი

1947-48 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ დაწყებითი, რეაწლიანი და საშუალო სკოლებისა, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების დროულად და სათანადოდ მომზადების მიზნით,

ვ ბრძანებ:

1. დამტკიცდეს 1947 წლისათვის II და III კვარტალებში სკოლების შეკეთების გეგმა შემდეგი სახით: სულ 4157 ობიექტი, მათგან კაპიტალური შეკეთება 332, ხოლო მიმდინარე შეკეთება 3835 სკოლის შენობის, 216 საბავშვო ბაღისა და 26 საბავშვო სახლისა (განაწილება ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, თან ერთვის დანართი № 1).

2. სასკოლო შენობათა კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი ასიგნობანი განაწილდეს № 2 დანართის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს იგხაზეთისა და აჭარის ასსრ გინათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეტის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და ყველა რაიონის განათლების განყოფილებათა გამგებს და სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებს (გამგებს):

ა) სასწრაფოდ დააყენონ საკითხი აღგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და დროულად დაიწყონ შენობათა შეკეთება;

ბ) სისტემატურად უზერმძღვანელონ შენობათა შეკეთების საქმეს და უზრუნველყოფის მისი დამთავრება არაუგვიანეს 1947 წლის 25 აგვისტოსა;

გ) მავე ვადებში უზრუნველყონ სასკოლო ინენტარის — მერხების, დაფების, კარადების, მაგიდების, სეამების მაღალხარისხოვნად შეკეთება.

4. ახალი ინენტარის შეძენისათვის გათვალისწინებული თანხა ავტონომიური რესპუბლიკებსა და ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის განაწილდეს № 3 დანართის მიხედვით.

5. სასკოლო ინფენტარიით სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულების დროულად უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარივების განყოფილებას;

ა) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფის სასკოლო ინფენტარიის დამამზადებელი წარმოებანი და რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებანი სასკოლო ინფენტარის ტექნიკური ნახატებითა და სპეციფიკაციით;

ბ) დროულად მოახდინოს სასკოლო ინფენტარის დამზადებისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრავალობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქალალდისა და ცელულოზის ინგურებინატისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საკურორტო და აღვილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ხაზით რაიონებისათვის გამოყოფილი მერქანის ათვისება;

გ) დიდაქტიკურ ხელსაწყოთა საწარმოში ა/შ 1 სექტემბრიამდე დამზადოს 1200 მერხი და 2000 დაფა.

6. წინადაღება მიეცეს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებს, მაქსიმალურად გამოიყენონ აღვილებზე არსებული ყველა შესაძლებლობა, შეადგინონ ინფენტარის დამზადების ზუსტი გეგმა და სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყონ მისი შესრულება.

7. ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკებისა, ოლქისა, რაიონისა და ქალაქის განყოფილებებს შორის განაწილდეს № 4 დანართის მიხედვით.

წინადაღება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო განათლების სამინისტროებს, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს დროულად უზრუნველყონ დაწესებული გეგმის მიხედვით ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს:

ა) ა/შ 30 ივნისამდე დამოავროს საშუალო და უზაღლეს პედაგოგური სკოლების კურსდამთავრებულთა დანიშვნა და მასწავლებელთა კალების გადაჯგუფება;

ბ) ორგანიზებულად მოაწყოს მასწავლებელთა საზაფხულო გადამზადება, დროულად უზრუნველყოს კურსები პროგრამებით, სახელმძღვანელოებითა და კვალიფიციური ლექტორებით.

9. დაევალოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებით და საშუალო სკოლების სამმართველოს:

ა) დაწესებულ ვადებში გადასცეს სახელმძღვანელო წიგნები

გაშომცემლობას, ყოველდღიური მეოთვალყურეობა დააწესოს წიგნების
ბეჭდვის საქმეზე და ამ წიგნების ბეჭდვის დარღვი რაიმე შეფერხე/
ბის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დასეას საკითხი პირადაფრატემშე
წინაშე;

ბ) 20 აგვისტომდე უზრუნველპუნქოს სკოლები საჭირო პროგრა-
მებით;

10) სახელმძღვანელო წიგნებისა და სხვადასხვა სასწავლო წიგ-
ნებით სკოლების შეუფერხებლად და თანაბრად მომარაგების მიზნით:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების
სამმართველომ მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით ზუსტად გაანა-
წილოს რაიონებსა და ქალაქებზე სახელმძღვანელოები, სხვა სასწავ-
ლო ნივთები და უზრუნველპუნქოს მათი დაყვანა ადგილებამდე;

მტკიცე კონტროლი დააწესოს განათლების განყოფილებებსა და
წიგნებით მოვაჭრე ორგანიზაციებზე, რათა წიგნები და სასწავლო
ნივთები თანაბრად ნაწილდებოდეს სკოლათა შორის, კონტინგენტის
შესაბამისად;

ბ) ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა
სისტემატური კავშირი დამყარონ სამოქმედოებლო კოოპერაციის
ადგილობრივ გამეობებსა და „საქმიანი“ მილაზიებთან, მიღების-
თანაცე გაანაწილონ წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები სკოლათა
შორის და უზრუნველპუნქონ მათი შეუფერხებლივ მიტანა და გასა-
ლება ყველა სკოლაში.

11. დავვალოს რაიონისა და ქალაქების განყოფილებათა გამგეებს,
დაწყებითი, რეაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს, (გამ-
გებს), ზუსტად აღრიცხონ სკოლებში ახლად ჩასაბმელი და განთე-
სილი ბავშვები და უზრუნველპუნქონ მათი ჩამით სათანადო კლასებში.

12. დავვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მომარაგების, დაწყებითი და საშუალო სკოლების, კადრებისა, მუშა-
ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველოებს სისტე-
მატურად მიავლინონ მუშაკები ადგილებზე ამ ბრძანების შესრულების
შესამოწმებლად და მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა
სკოლები მომზადებულად შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

13. საკითხი საქართველოს სსრ დაწყებითი, რეაწლიანი და
საშუალო სკოლების ახალი 1947-48 სასწავლო წლისათვის მზადე-
ბის შესახებ მოსმენილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიაზე ა/შ 20 ივნისს, 20 ივნისს და 20 აგვისტოს.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. პუპრაძე

გ ე გ მ ე



ხასკოლო შენობების, ხაბავშვილისა და ხაბავშვილ ხაზუნების კაპიტალური და მიმღინარე რემონტისა 1947 წლის მეორე და მესამე კვარტალებისათვის.

	სარტყებრივ სკოლების რაოდენობა	მიმღინარე	სარტყებრივ საბუჯეტო ბალების რაოდენობა	სარტყებრივ საბ. საძლე- ბო რაოდენობა	შენიშვნა
1. აფხაზეთის ასსრ . . .	15	410	24	1	
2. აჭ-რის ასსრ . . .	10	365	15	2	
3. სამხრეთ-ოსეთის ა/ო	5	342	4	3	
1. ქალ. თბილისი . . .	58	33	45	—	
2. " ქუთაისი . . .	25	—	16	1	
3. " ტყოცი . . .	8	10	6	—	
4. " ჭიათურა . . .	1	4	3	—	
1. აზაშის რაიონი . . .	3	40	1	—	
2. აფიშენის . . .	3	46	—	—	
3. ამბოლაურის . . .	5	58	—	—	
4. ასპინძის . . .	3	20	—	—	
5. ახალქალაქის . . .	4	65	1	—	
6. არალის . . .	4	54	4	1	
7. ანგეტის . . .	2	51	—	—	
8. დუანისის . . .	3	60	—	—	
9. ბოგარძნოვეკის . . .	1	28	—	—	
10. ბორჯომის . . .	3	44	6	1	
11. მარნეულის . . .	5	70	—	—	
12. ბოლნისის . . .	3	44	—	—	
13. ვანის . . .	2	43	1	—	
14. გეგეტეორის . . .	5	62	4	1	
15. გორის . . .	10	131	2	1	
16. გურჯაანის . . .	4	19	1	1	
17. დუშეთის . . .	4	135	1	—	
18. ხ/განეთის . . .	2	41	—	—	
19. ხესტაფონის . . .	4	49	2	—	
20. ზუგდიდის . . .	5	64	6	1	
21. ყაზბეგის . . .	2	28	1	—	
22. კაჭ-რეთის . . .	3	20	—	—	
23. გარდაბანის . . .	2	13	1	—	
24. ქარელის . . .	2	91	—	—	
25. კასპის . . .	2	71	7	1	



		სარემნო ცულების რაოდენობა	მიღებისაუ ნი	სარემნო ცულების სამავშევ რაოდენობა	სარემნო ცულების სახლ, რაოდენობა
26.	ყვარელის რ-ნი . . .	2	18	3	—
27.	ქვ. სეანეთის . . .	2	34	1	—
28.	ქლუბორის . . .	2	9	2	4
29.	ქუთაისის . . .	5	39	1	—
30.	ლაგოდეხის . . .	3	48	1	—
31.	ლანჩხუთის . . .	4	50	2	—
32.	მახარაძის . . .	7	60	1	1
33.	მაკაფოვესკის . . .	3	30	—	—
34.	მცხეთის . . .	3	50	3	—
35.	ოზის . . .	4	43	1	—
36.	ორჯონიძის . . .	2	61	1	—
37.	საგარეფის . . .	3	37	2	—
38.	სამტრედის . . .	4	34	5	1
39.	საჩხერის . . .	5	46	2	1
40.	სიღარალის . . .	5	21	5	1
41.	თბილისის . . .	5	51	4	2
42.	თელავის . . .	6	26	2	—
43.	თეთრიწყაროს . . .	3	78	1	—
44.	თიანეთის . . .	1	37	—	—
45.	ტყიბულის . . .	2	27	—	—
46.	ხაშურის . . .	5	70	2	1
47.	ხობის . . .	2	26	3	—
48.	ცაგერის . . .	2	50	2	—
49.	ჭალენჯიხის . . .	2	44	1	—
50.	ჭალენჯიხის . . .	4	39	—	—
51.	ჭითელწყაროს . . .	4	18	1	—
52.	ჭყალტუბოს . . .	4	27	1	—
53.	ცაგარის . . .	5	61	4	—
54.	წელუების . . .	4	33	1	—
55.	ჭიათურის . . .	2	50	—	1
56.	ჩოხატაურის . . .	5	48	2	—
57.	ჩხარის . . .	2	21	1	—
58.	ჩხოროწყუჟა . . .	2	38	1	—

ს უ ლ 322 3835 216 26


გენეტილება

ასიგნობებისა კაპიტალური რეზონტისათვის საქართველოს კუთხეული
განათლების სამინისტროს აღგილობრივი ბიუჯეტი 2022 წლის 1 იანვრიდან

1947 წლისათვის

(ათას მანეთებში)

	მასიური ეუდენი	სკოლები საცხოვრი	ლ ა	საბაზი ბაცხი	სამართლ სახელი
1. აფხაზეთის ასსრ . . .	350	450	600	110	100
2. აჭარის ასსრ . . .	200	374	574	90	100
3. სამხ.-ოს. ა/ო . . .	54	250	304	40	120
1. ქალ. თბილისი . . .	2900	—	2900	600	—
2. " ქუთაისი . . .	670	—	670	160	20
3. " ფოთი . . .	350	10	360	50	—
4. " გრათურა . . .	40	—	40	20	—
1. აბაშის რაიონი . . .	20	185	155	5	—
2. აფხაზენის . . .	20	120	140	—	—
3. ამბროლაურის . . .	20	150	170	—	—
4. ახალგაზარების . . .	33	140	173	5	—
5. ასპინშის . . .	—	130	180	—	—
6. ახალციხის . . .	39	110	149	5	40
7. ახმეტის . . .	—	110	110	—	—
8. ბოდრიანოვების . . .	—	75	75	—	—
9. ბორჯომის . . .	50	160	200	50	80
10. ბოლნისის . . .	20	115	135	—	—
11. ვანის . . .	—	100	100	5	—
12. გარდაბანის . . .	—	60	60	20	—
13. გეგეტკორის . . .	—	200	200	15	95
14. გორის . . .	100	400	500	15	30
15. გურჯაანის . . .	25	155	180	5	50
16. დმიანისის . . .	—	130	130	—	—
17. დუშეთის . . .	15	215	230	5	—
18. შ/სეანეთის . . .	—	90	90	—	—
19. ზესტაფონის . . .	30	160	190	15	—
20. ზუგდიდის . . .	80	240	320	40	50
21. ყაზბეგის . . .	—	100	100	5	—
22. კაპრევის . . .	—	140	140	—	—
23. ქარელის . . .	—	160	160	—	—
24. ქასპის . . .	20	130	150	30	65
25. ყვარელის . . .	—	100	100	10	—



		შესრულ ქალაქი	სკოლუბრ სოფელი	ს/ გ	საეჭველ ბაღები	სახურავის მიზანის მიხედვით
26.	ქვ. სვანეთის	" . .	—	80	80	5
27.	ქლუაორის	" . .	—	60	60	20
28.	ქუთაისის	" . .	—	80	80	5
29.	ლაგოდეხის	" . .	10	150	160	10
30.	ლანჩხუთის	" . .	20	140	160	10
31.	მარნეულის	" . .	20	180	200	—
32.	მაჩარაძის	" . .	110	230	340	20
33.	მარაკოვსკის	" . .	—	140	140	—
34.	მცხეთის	" . .	30	140	140	10
35.	ონის	" . .	90	150	240	10
36.	ორუელიკიძის	" . .	20	130	150	10
37.	საგარეჯოს	" . .	—	155	155	10
38.	სამტრედიას	" . .	40	160	200	30
39.	საჩხერის	" . .	140	130	270	15
40.	სიღნაღის	" . .	35	155	190	10
41.	თბილისის	" . .	20	230	250	15
42.	თელავის	" . .	50	150	200	25
43.	თეთრიშქაროს	" . .	20	150	170	20
44.	თბილეთის	" . .	—	90	—	5
45.	ტყიბულის	" . .	20	90	110	—
46.	ზაშურის	" . .	40	190	230	15
47.	ხობის	" . .	—	90	90	15
48.	ცაგერის	" . .	20	100	120	10
49.	წალენჯიხის	" . .	—	100	100	5
50.	წალკის	" . .	15	135	150	—
51.	წითელწყაროს	" . .	15	100	115	10
52.	წყალტუბოს	" . .	60	100	160	15
53.	ცაგანას	" . .	50	210	200	50
54.	ჭულევისის	" . .	40	140	180	15
55.	ჭიათურის	" . .	—	110	110	—
ს უ მ . .		5901	9249	15150	1700	1570

სკოლებისა, ხაბაგშეო ბალებისა და ხანლებისათვის 1947 წელზე
 ინვენტარის შეძენისა და რემონტისათვის გათვალისწინებული განაწილება
 თანხების განაწილება



რაიონის დასახელება	ს კ ი ლ ე ბ ი			საბაგშეო ბალები	საბაგშეო საჩლები
	სასწავლო მოწყობი- ლობა	სამეცნ- ნეო მოწყობი- ლობა	ს უ ლ		
1	2	3	4	5	6
1. აფხაზეთის ასსრ . . .	87,7	62,6	717,3	—	187,8
2. აჭარის ასსრ . . .	61,3	447,1	508,4	—	169,4
3. სამხ.-ოს. ა/ო . . .	43,6	501,0	344,6	—	145,8
1. ქალ. თბილისი . . .	88,6	1751,7	1840,5	104,5	97,0
2. " ქუთაისი . . .	15,8	139,4	155,2	—	63,8
3. " ფოთი . . .	7,2	60,9	68,1	—	—
4. " ტბილისი . . .	2,6	22,8	25,4	—	—
1. აბაშის რაიონი . . .	9,7	67,1	76,8	—	—
2. აფიგენის " . . .	7,9	64,1	62,0	—	—
3. ამბროლაურის " . . .	11,2	77,2	88,2	—	—
4. აპინძის " . . .	4,9	32,9	37,8	—	—
5. ახალქალაქის " . . .	18,4	128,3	146,7	—	—
6. ახალციმის	12,5	91,2	108,7	—	48,2
7. ახმეტის "	8,7	58,6	67,3	—	—
8. ბოგდანოვენის "	9,1	61,0	70,1	—	—
9. ბორჯომის "	10,8	81,7	92,5	—	36,2
10. ბოლნისის "	9,4	67,5	76,9	—	—
11. განის "	11,9	80,4	98,3	—	—
12. გარდაბანის "	4,5	34,5	37,0	—	—
13. გეგეტელის "	15,2	102,2	117,4	—	60,0
14. გორის "	24,8	177,1	201,9	—	82,0
15. გურჯაანის "	9,7	—	—	—	—
16. დმანისის "	11,7	78,6	90,3	—	—
17. დუშეთის "	15,2	104,6	116,8	—	—
18. ზუგარეთის "	6,0	40,6	46,6	—	—
19. ზესტაფონის "	14,4	104,5	118,9	—	—
20. ზუგდიდის "	18,7	136,4	155,1	—	81,0
21. ყახბეგის "	3,9	26,5	30,4	—	—
22. ყაჭრეთის "	6,6	44,3	50,9	—	—
23. ჟარელის "	12,4	85,7	98,1	—	—
24. კასის "	13,1	90,9	104,0	—	116,0
25. ყვარელის "	7,5	50,4	57,9	—	—
26. ქ/სვანეთის "	4,1	87,6	87,1	—	—
27. ქლუხორის "	3,7	89,8	88,5	—	409,8

რაიონის დასახლება	ს კ თ ლ ე ბ ი			საბავშვო- ბალეტის სამუშაოები	
	სასწავლო მოწყობი- ლობა	სამეცნი- ნეო მოწყობი- ლობა	ს უ ლ	5	6
1	2	3	4		
28. ქუთაისის	" . .	10,0	67,2	77,2	—
29. ლაგოდების	" . .	18,0	90,8	104,8	—
30. ლეჩხუთის	" . .	10,7	74,9	85,0	—
31. მარნეულის	" . .	14,9	105,3	120,2	—
32. მახარაძის	" . .	14,9	105,9	120,8	93,
33. მარეოვანის	" . .	7,9	59,0	60,9	—
34. მცხეთის	" . .	9,0	62,3	71,3	—
35. ონის	" . .	8,6	60,8	69,4	29,2
36. ორჯორივისის	" . .	11,4	76,3	90,7	—
37. საგარეჯოს	" . .	8,5	57,1	65,6	—
38. სამტრედიის	" . .	12,0	84,7	96,7	110,0
39. საჩხერის	" . .	11,0	76,8	87,8	54,8
40. სიღნალის	" . .	10,9	78,9	89,8	40,2
41. თბილისის	" . .	12,0	85,1	97,1	—
42. თელავის	" . .	11,7	86,8	98,5	134,2
43. თეთრიშქაროს	" . .	18,5	99,1	106,6	—
44. თიანეთის	" . .	4,8	32,0	36,8	—
45. ტყიბულის	" . .	8,6	68,5	72,1	—
46. ხაშურის	" . .	18,4	97,0	110,4	81,0
47. ხობის	" . .	7,6	51,0	58,6	—
48. ცაგერის	" . .	8,5	58,2	66,7	—
49. ჭალენჯიხის	" . .	8,2	55,4	63,6	—
50. ჭალეს	" . .	18,8	95,8	109,6	—
51. ჭითელწყაროს	" . .	6,4	48,2	58,6	—
52. წყალტუბოს	" . .	8,0	56,1	64,1	—
53. ქაჩათას	" . .	12,6	91,6	103,7	—
54. ჭულეულის	" . .	9,7	71,5	81,2	—
55. ჭიათურის	" . .	10,7	71,8	82,5	39,0
56. ჩოხატაურის	" . .	10,2	68,8	79,1	—
57. ჩიარის	" . .	6,7	44,8	51,5	—
58. ჩხოროწყუს	" . .	8,5	57,2	85,7	—
ს უ ლ . .	910,5	7574,0	8481,5	104,5	2071,6

ნახშარი სტაბილური სახელმძღვანელო თების შესყიდვის
1947 წლის გეგმა



რაიონის დასახელება	ქართულ ენაზე	რუსულ ენაზე	სომხურ ენაზე	აზერბაი-ჯანულ ენაზე	ს უ ლ
1. აფხაზეთის ა.სრ . . .	—	—	—	—	40.000
2. აჭარის ასსრ	—	—	—	—	25.000
3. სამხ.-ოს. ა/ო	—	—	—	—	15.000
სულ	—	—	—	—	80.000
1. ქალ თბილისი	60.000	80.000	7.000	1.000	98.000
2. " ქუთაისი	7.000	—	—	—	7.000
3. " ტოთი	3.000	1.000	—	—	4.000
4. " ჭიათურა	3.000	600	—	—	3.600
სულ	73.000	81.600	7.000	1.000	112.000
1. აბაშის რაიონი . . .	13.000	—	—	—	13.000
2. ადგიგინის	1.000	—	—	—	1.000
3. აბგროლაურის . . .	15.000	—	—	—	15.000
4. ასპინჩის	600	—	—	—	600
5. აზალქალაქის	4 300	200	5.000	—	9.500
6. აზმეტის	2.000	—	—	—	2.000
7. ახალციხის	4 500	1 500	—	—	6.000
8. დომინისის	1.600	500	—	2.000	4.100
9. ბოგდანოვკის	—	200	3.800	—	4.000
10. ბორჯომის	7 000	—	—	—	7.000
11. მარნეულის	1.500	500	—	4.000	6.000
12. ბოლნისის	1.500	500	500	1.200	3.700
13. განის	8.000	—	—	—	8.000
14. გაგამელიანის	22.000	—	—	—	22.000
15. გორის	5 000	—	—	—	5.000
16. გურჯაანის	5.000	—	—	—	5.000
17. დუშეთის	6.000	—	—	—	6.000
18. ზემო-სვანეთის	1.500	—	—	—	1.500
19. ზე-ტაცერის	9.000	—	—	—	9.000
20. ზუგდადის	10.600	—	—	—	10.600
21. ყაზბეგის	400	—	—	—	400
22. კატეგორის	1.500	—	—	—	1.500
23. გარდაბანის	1.300	1.500	—	2000	4.800
24. ქარელის	4.700	—	—	—	4.700
25. კასპის	3.500	—	—	—	3.500

რაიონის დასახელება	ქართულ ენაზე	რუსულ ენაზე	სომხურ ენაზე	აზერბაი- ჯანულ ენაზე	ს კ ლ
26. ყვარელის	" . .	2600	—	—	2600
27. ქუსანეთას	" . .	800	—	—	800
28. ქლუხორის	" . .	500	500	—	1000
29. ქუთაისის	" . .	8600	—	—	8600
30. ლაგოდეხის	" . .	9000	1000	—	10000
31. ლანჩჩუთის	" . .	7500	—	—	7500
32. მარარაძის	" . .	11000	1000	—	12000
33. მააკოვსკის	" . .	6000	—	—	6000
34. მცხეთის	" . .	7500	—	—	7500
35. ონის	" . .	8000	—	—	8000
36. ორგონიკიძის	" . .	10500	—	—	10500
37. საგარეჯოს	" . .	8000	—	—	8000
38. სამტრედის	" . .	9800	—	—	9800
39. საჩხერის	" . .	9800	—	—	9800
40. სიღნაღის	" . .	9800	—	—	9800
41. თბილისის	" . .	2000	500	—	3500
42. თელავის	" . .	9000	—	—	9000
43. თეთრიშვილის	" . .	4500	2000	—	6500
44. თიანეთის	" . .	2600	—	—	2600
45. ტყიბულის	" . .	4000	—	—	4000
46. ხაშურის	" . .	6000	—	—	6000
47. ხობის	" . .	3800	—	—	3800
48. ცაგერის	" . .	7000	—	—	7000
49. ჭალენჯიხის	" . .	9800	—	—	9800
50. ჭალენის	" . .	2000	2000	2000	6000
51. ჭითელშვილის	" . .	2000	1000	—	4000
52. ჭყალტუბოს	" . .	2600	—	—	2600
53. ცაგარას	" . .	10000	400	—	10400
54. წელეუბიძის	" . .	8000	—	—	8000
55. ჭიათურის	" . .	9000	—	—	9000
56. ჩოხატაურის	" . .	18000	—	—	18000
57. ჩხარის	" . .	5500	—	—	5500
58. ჩიოროწყვას	" . .	5500	—	—	5500
სულ რაიონებში	346700	18800	11800	11800	380500
სოლის რესპუბლიკში	419700	44800	18800	10200	573100
მათ შორის . . .					

ბრძანება № 1981

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადან

1947 წლის 11 აგვისტო

1946-47 საწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო
 სკოლების კურსდამთავსებულ ოპერა და ვიზუალის მაღ-
 ლიტის პრეზიდატთა საგამოცემო ფარითი ნაუზმის განვითარების
 ანალიზის შესახებ ჩიონებრია-ტრიბუნომისტრისამდე.

გვეცნი რა საშუალო სკოლების მიერ 1946-47 სასწავლო
 წელს ოქროსა და ვერცხლის მედლების კანდიდატთა საგამოცუდო
 წერითი ნამუშევრებს გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში აღნიშნავ,
 რომ რესპუბლიკის საშუალო სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილის
 მიერ წერითი ნამუშევრები უნაკლოდა შესრულებული, — ნახაზები
 და აღნიშვნები შესრულებულია წესიერად, სწორადად გამოყენებუ-
 ლი ამოცანის ზოგად მონასისათვის საჭირო გეომეტრიული ფორ-
 მულები; კარგადაა მოხდენილი მოცულებული სხეულის პირეულის
 გამოსაანგარიშებელ ფორმულაში უცნობი ელემენტების გან-
 საზღვრა ტრიგონომეტრიულ დამოკიდებულებების საშუალებით,
 ძილებული ტოლობის გარდაქმნა და სალოგარითმო სახეშე დაყვანა,
 ლოგარითმების გამოსაანგარიშება და ანტილოგარითმების პოვნა; ნა-
 მუშევრებიდან ნათლად ჩინს, რომ მოსწავლეებს მრავალი ამოცანა
 და მაგალითი ამოუსნიათ, ბერი უცარჯიშნიათ და მასალის ლრმა
 ცოდნა გააჩნიათ. წერითი ნამუშევრების ასეთ კარგ შედეგებს იძლე-
 ვა ქ. თბილისის ქალთა მე-2 (მასწავ. ე. ლელაძე), 23-ე (მასწავ.
 ნ. ძიგვა), ვაჟა 24-ე (მასწ. დ. გონდაური), 30-ე (მასწ. გ. სი-
 მონია), 32-ე (მასწ. ვ. მელაძე), 21-ე, ქ. ქუთაისის ვაჟა პირველი,
 ქალთა პირველი, მაიაკოვსკის პირველი, საჩერის, ბათუმის, სო-
 ხემისა და თელავის ზოგიერთი სკოლები.

მაგრამ გამომეტანდა აგრეთვე, რომ ზოგ სკოლაში გეომეტ-
 რია-ტრიგონომეტრიის სწავლება ჯერ კიდევ არ დგას საჭირო სი-
 მაღლებები, რომ ვარჯიშის საქმე გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში ჯერ
 კიდევ არადაშავმაყოფილებელია.

ა) არის ხელმები, რომელთა მოსწავლენი ამოცანას ზოგადად კი არ ხსნიან არამედ ტრიგონომეტრიული ტაბულების საშუალებით ცალკე ანგარიშობენ უცნობ ელემენტებს. მაგალითად, ოქტომბერი-წყაროს რაიონის მანგლისის რუსული საშუალო სკოლის მშრალი ცალკე-ბი ცალ-ცალკე აწარმოებენ პირამიდის სიმაღლის, აპოთემისა და ფუძის ფართობის რიცხვებით მნიშვნელობის გამოანგარიშებას ნატურალური ტრიგონომეტრიული ტაბულების საშუალებით, რის შემდეგ არითმეტიკულად პოულობენ მოცუმული პირამიდის პირებს. ამასვე ეხედებით ზემო-სვანეთის, ქლუტორის, ყაზბეგისა და ზოგიერთ სხვა საშუალო სკოლებში;

ბ) ყურადღება არ ექცევა ამოცანის აშობსნის ცალკე ეტაპების რაციონალურად დალაგებას. ამმეტეს საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში ყველა გარდაქმნა და გამოანგარიშება საჭირო თანამიმდევრობით არაა მოცუმული; ქ. თბილისის ვაეთა მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლეები გამოანგარიშებისას ცალკე პოულობენ მრიცხველისა და ზნიშვნელის ლოგარითმების ჯამს, შემდეგ მრიცხველის ლოგარითმს იკლებენ მნიშვნელის ლოგარითმს. მოქმედებათა რაციონალურ დალაგებას ყურადღება არ მქონება აგრეთვე ქ. თბილისის ქალთა მე-14, სოხუმის ვაეთა მე-2 და ქალთა მე-3, ცაგერის რაიონის ორბელის, წლლუკიძის ვაეთა და ზოგიერთ სხვა საშუალო სკოლებში;

გ) გეომეტრიული ამოცანების აშობსნის დროს ცუდად აგებენ ნახაზებს: ტყიბულის მეორე, მახარაძის ქალთა პირველ, ცვარელის პირველ, ავჭალის, ოქტომბერი-წყაროს რუსულ, წილენჯიხის, წალკის რუსულ, კასპის რაიონის, ახალქალაქისა და ზოგიერთ სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეთა მიერ აგებულ ნახაზებში ნათლად არ ჩანს მთავარი და დამხმარე ხაზები, ნახაზები ისეა აგებული, რომ ელემენტებს შორის დამოკიდებულება არ შეესაბამება ამოცანაში მოცუმულ პირობებს;

დ) არა აქვთ შეკიდრი და შეგნებული ცოდნა-ჩვევები ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოცანის ხერხების შერჩევაში. განსაკუთრებით ეს ითქმის წალენჯიხის რაიონის ნაფიხოვოს, ჩხოროწყუს რაიონის ახალის, ბოლნისისა და ცაგერის რაიონის ალპანის საშუალო სკოლების შესახებ. ბოლნისის, მესტიისა და ყაზბეგის საშუალო სკოლის მოსწავლეები ტრიგონომეტრიულ განტოლების ამოცანისა' პოულობენ რა უცნობ კუთხეს ამათუიშ ტრიგონომეტრიული ფუნქციით, კრაჭოფილდებიან უთხის მხოლოდ კერძო მნიშვნელობით;

ე) გვხდება შემთხვევები ტრიგონომეტრიული ფუნქციების, სწავლის სიმბოლოების და ფორმულების არა წესიერად ჩატრიბი: მაგალითად, წალენჯიხისა და ჩიარის საშუალო სკოლის მოსწავლის ბიუროს მათემატიკურ სიმბოლოებს არასწორად წერენ. ალფა-ალფას არ ჰგავ, ბეტა-ბეტას, იქსი-იქსს და სხვა; ხშირად ტოლობის ნიშანი თავის აღვილება არაა დაწერილი, არ იციან ფრჩხილების ზმარება, ნამუშევრებში აღვილი აქვს ამოფხევას, გადაშლას და სხვა მელნით შესწორებათა შეტანას;

გ) ზოგიერთი მასწავლებელი წერით ნამუშევრებში გაუსწორებლად ტოვებს შეცდომებს. მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა მე-12 საშუალო სკოლის ერთერთი მოსწავლე წერს: $(1 - \sin\alpha)^2 = \sin 90 - \sin\alpha$; ბოლხისის რუსული საშუალო სკოლის ყველა მოსწავლის ნამუშევრებში კითხულობთ:

$$OK = \frac{h}{\operatorname{tg} \alpha}, \text{ ნაცვლად } OK = \frac{h}{\sin \alpha}.$$

მსგავს ფაქტებს აღვილი აქვს ქ. თბილისის ქალთა მე-6, მე-10, მე-13, ქარელის რაიონის აგარის, ზუგდიდის პირველ რუსულ და ზოგიერთ სხვა სკოლებში და ეს შეცდომები მასწავლებელთა მხრივ შეუმჩნეველი დარჩის;

ზ) ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში იჩენს დაუშევებელ ლიბერალობას. მანგლისის რუსული საშუალო სკოლის სამი მოსწავლის მიერ „3“-ზე შესრულებული წერითი ნამუშევარი მასწავლებლის მიერ „5“-ზეა შეფასებული. ონის რაიონის ლების საშუალო სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის „5“-ზე შეფასებული ნამუშევარი საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ „3“-ზე შეაფასა. წერითი ნამუშევრების ლიბერალური შეფასების მსგავს მაგალითებს აღვილი აქვს აგრძელება ქ. თბილისის ქალთა მე-13, ქალთა მე 19, ვაეთა მე-17, გუდაუთის, მახარაძის რაიონის ნატანებისა და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლებშიც.

3 ბ რ ძ ა ნ მ ბ :

1. მათემატიკის მასწავლებლებმა გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში თეორიული მასალის შესწავლისთან დაკავშირებით სისტემატურად იმუშაონ ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე; ყოველ ახლად ახსნილ მასალაზე აწარმოონ ვარჯიში ახლად შესწავლილი დებულების ან თეორემის გარშემო; უფრო ხშირად მოაწყონ დამოუკიდებელი სამუშაოები; სისტემატურად მისცენ მოსწავლეებს შინ დავალებანი და შეამოწმონ მათი შესრულება, შეტი ყურადღება

მიაქციონ საკონტროლო წერით მუშაობას; გულდასმით შეატყობინონ კოველი საკონტროლო და საშინაო წერითი ნამუშევარი; ჩარინიშონ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და უარისლის მიზანა კვეთილზე გაარჩიონ ის მთელ კლასთან, დააწესონ სისტემატური მეთვალყურეობა მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებაზე.

2. გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიისში მაგალითებზე და ამო-
ცანებზე ვარჯიშობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტრი-
გონომეტრიულ იგივეობათა დამტკიცებას, ტრიგონომეტრიულ გამო-
სახულებათა გამარტივებას, ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამო-
ცხნას, გეომეტრიული სხეულების პირეფულის, მოცულობისა და აგრეთვე
ამ სხეულების სხვა ელემენტების გამოანგარიშებას.

3. აღნიშნოს ქლუბორის, თეთრიწყაროს, ზემო-სვანეთის, წალენჯიხის, ონისა და წალკის განათლების განყოფილებათა გამგების სუსტი ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებში მათემატიკის სწავლების საქმეში და დაევალოს მათ განსაკუთრებული უზრადლება მიაქციონ სკოლებში მათემატიკის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დირექტივების ზუსტად განსაკრიტიკებას.

4. ეს ბრძანება განხილულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალურ საბჭოს სხდომაზე 1947 წლის სექტემბერში და მის საფუძველზე გატარდეს შესაბამისი ლონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი პ. კუპრაშვილი

ბეჭედი № 1982

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 11 აგვისტო

1946/47 სასწავლო წელი საქართველოს სსრ საშუალო
 სკოლების კუსსაბორიგული ღია და ვიზუალის
 მიღების კანონით განვითარება საგამოცემო წარმომადგენილობის
 შედეგების შესახებ აღმიჩნავი.

F976
 გვეცანი რა საშუალო სკოლების 1946-47 სასწავლო წელს გა-
 მოსაშენები XI კლასების ოქტომბერის და ვერცხლის მედალის
 კანდიდატთა წერითი ნამუშევრების ანალიზს აღვებრაში, აღვნიშ-
 ნავ, რომ სკოლების მიერ ოქტომბერის და ვერცხლის მედლით დასა-
 ჯილდოებლად წარმოდგენილი კანდიდატების დიდი უმრავლესობა
 ამოცანის პირობის შესაბამისი განტოლების შედეგების დროს იძლევა
 უცნობთა შერჩევის, აღნიშვნების შემოტანისა და მოცემულ და სა-
 მიებელ სილიდებს შორის დამოკიდებულების სრულ, ზუსტ და ლო-
 გიკურად დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას, სწორად დღვენს გან-
 ტოლებას, ასევე სწორად ხსნის მას, ახდენს ფესვების ანალიზს და
 მათ შემოწმებას ამოცანის პირობის მიხედვით, განმარტავს მიღებუ-
 ლი პასუხის აზრს, იძლევა სწორს და სრულ ახსნა-განმარტებას
 მაგალითების ამოსნის დროს, წერს ლიტერატურული ენით და
 წესიერად აფორმებს ყველა ჩანაწერს.

აღვებრაში წერითი ნამუშევრების კარგ ნიმუშებს იძლევიან: თბილისის ქალთა 23-ე; თელავის ქალთა, მახარაძის ვაკთა, მაია-
 კოსკის, წყალტუბოს, სამტრედიის ქალთა და სხვა საშუალო სკო-
 ლების მოსწავლეები.

მაგრამ 1946-47 სასწავლო წლის მოლოს საშუალო სკოლების მიერ წარმოდგენილ ოქტომბერის და ვერცხლის მედალოსნობის კანდი-
 დატთა წერითმა ნამუშევრებმა ზოგიერთ სკოლაში ვერ მოგვცა და-
 მაჟმაყოფილებელი შედეგები.

არის შემთხვევები, რომ საშუალო სკოლაშ თქმოსა და
 ვერცხლის მედალის კანდიდატებად წარმოადგინა ისეთი მოსწავ-

ლევბი, რომელიც:

1. ამოცანის პირობებში ვერ ერკვევიან და ამოქსნებს ხერხების უცოდინარობას ამჟღავნებენ. მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის მიერ ვერცხლის მიმღები ლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილ კანდიდატებს ვერ გაუგიათ ამოცანის პირობა, ამის გამო განტოლების შედგენის დროს დაუშვეიათ უხეში შეცდომა და ბოლოს ასეთ ყალბ დასკენას იძლევიან: „მივიღეთ, რომ პირველი მანქანა მთელ სამუშაოს შეასრულებს 20 საათში, ხოლო მეორე 30 საათში“, და განაჯრობენ: მოცემულობის თანახმად პირველმა საბეჭდმა მანქანამ შეასრულა სამუშაოს

$$\frac{3}{5} \text{ ნაწილი, რის } \text{შეასრულებლად } \text{დასჭირდა } -\frac{3}{5} \cdot 50 = 30 \text{ საათი,}$$

თი, ხოლო მეორემ შეასრულა დარჩენილი სამუშაო, ე. ი. მთელი სამუშაოს $\frac{2}{5}$ ნაწილი და მის შეასრულებლად დასჭირდა $\frac{3}{5} \cdot 50 =$

=20 საათი. მასწავლებელი ასეთ წინააღმდეგობას და აზრთა შეუსაბამობას ვერ იმჩნევს და ნამუშევარს მაღალ შეფასებას აძლევს.

2. ვერ ახერხებენ განტოლების შედგენის დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას. მაგალითად, წალენჯიხის საშუალო სკოლის მიერ ვერცხლის მედალზე წარმოდგენილი კანდიდატი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამბობს: „შევაღინოთ განტოლება“ და წერს განტოლებას. განტოლების შედგენის სუსტი დასაბუთების ნიმუშებს იძლევიან ქ. თბილისის ქალთა მე-10, ახალციხის სომხური, ქ. ახალქალაქისა და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის მოსწავლები.

3. განტოლების ამოხსნის შედევად ორი ან შეტი პასუხის მიღების შემთხვევაში, ვერ ახერხებენ პასუხის აზრის განმარტებას და მისაღები პასუხის შერჩევას, ე. ი. იმის დასაბუთებას, თუ მიღებული ფესვებიდან რომელი გამოღება ამოცანისათვის და რომელი არა და რატომ?—მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა 26-ე საშუალო სკოლის მოსწავლე წერს: „ამოცანის პირობას დააკმაყოფილებს $X_1=18$, ხოლ $X_2=4$; უგულებელყოთ“ რატომ არის, „უგულებელყოთილი“ X_2 არაა დასაბუთებული; უარყოფითი ფესვის შესახებ ხშირად წერენ: „მეორე ფესვი არ გამოღება, რადგან უარყოფითია და სხვ.

4. არ იციან მიღებული ამონახსენისა და ამოცანის პირობის შესაბამისობის შემოწმება და შემოწმებას ახდენენ არა ამოცანის პირობის მიხედვით, არამედ უცნობის მნიშვნელობების შედეგენილ განტოლებაში ჩასმით. განსაკუთრებით ითქმის ეს ქ. ამაღლისისკენ ქალთა მე-12, ჩხოროწყუს და სოხუმის ვაეთა მე-4 საშუალო სკოლების შესახებ.

5. ხშირად უშეებენ უხევ შეცდომებს აღნიშვნების არამართებულად შეწოთანთ. მაგალითად, წერენ: აღვნიშნოთ—

$$X = \sqrt{X} \text{ ან } x = \sqrt{X+1}$$
 ასე შემოაქვთ უცნობების აღნიშვნა ქ. თბილისის ქალთა მე-13, ქ. ქუთაისის ვაეთა მე-4 და ზოგიერთი სხვა სკოლის მოსწავლეებს.

6. ხშირად მათემატიკურ ცნებებს ერთმანეთში ურჩევენ. ასე, მაგალითად, გალის რაიონის სკოლებში მოსწავლეები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ხარისხსა და ხარისხის მაჩვენებელს, და იმის მაგიერ, რომ ერთმანეთს ხარისხის მაჩვენებელი გაუტოლონ, ახდენენ თვით ხარისხების გატოლებას. ასეთ შეცდომებს აღვილი აქვს სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრებშიც.

7. ზოგიერთი სკოლის მოსწავლენი სუსტ ცოდნას იჩენენ არითმეტიკულ მოქმედებათა წარმოებაში: არ იციან მოქმედებათა თანამიმდევრობა, რის გამო ხშირად მაკლებს და შესაერებს ერთმანეთს უმატებენ, შერეული რიცხვების შეკრების დროს მათ არა-წილის წილადებად აქცევენ, მოცემული წილადების საერთო მნიშვნელად მათი მნიშვნელების უმცირეს ჯერადს არ იღებენ, არ ახდენენ წილადების დროულად შეკვეცას და ვერ აწარმოებენ უმარტივეს შემთხვევაშიც კი ზეპირად გამოანგარიშებას. არითმეტიკულ მოქმედებათა წარმოებაში სუსტ ცოდნას იჩენენ ჯვარის (წალენჯიხის რ.), ჩიბათის (ლანჩხუთის რ.), წალენჯიხისა და სხვა საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ამასთანავე წარმოდგენილი ნამუშევრების განხილვის შედევად დაღასტურდა, რომ საშუალო სკოლის მათემატიკის ზოგიერთი მასწავლებელი ზერელედ და უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოსწავლეთა ნაწერების გასწორებას, რის გამო წერით ნამუშევრებში მრავალი შეცდომა გაუსწორებელი აღმოჩნდა. მთელი რიგ შემთხვევებში სკოლის მიერ მაღალ ნიშანზე შეფასებული წერითი ნამუშევრები

განათლების სამინისტროს მიერ დაბალი ნიშნით იქნა შეფასებული.

მაგალითად, ქ. თბილისის ვაკთა მე-17 საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატის წერითი ნამუშევარი განათლების სამინისტროს მიერ ნიშან 3-ზე იქნა შეფასებული. დაბალი ნიშნის მიერ იქნა შეფასებული ავრეოვე ქ. თბილისის ქალთა მე-10, 25-ე, გრთხოვის (წულუკიძის რ.), ფასანაურის (დუშეთის რ.), ცხაკაიას ქალთა და ვაკთა და სხვა საშუალო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალზე ჭარმოდგენილ კანდიდატთა წერითი ნამუშევრები.

რეგ სკოლებში წერითი გამოცდების ორგანიზაცია ვერ იყო სათანადოთ მიღესრიგებული, ადგილი ჰქონდა მოხწავლეთა მიერ წერითი ნამუშევრების ერთმანეთისაგან გადაწერას, „შპარგალკებით“ სარგებლობას, კარნახს. ქ. თბილისის მე-20, მე-10, გორის ვაკთა და ზოგიერთი სხვა სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალის ზოგიერთ კანდიდატთა წერითი ნამუშევრები ერთმანეთის ასლს ჭარმოდგენს.

ვთვლი რა, რომ საშუალო სკოლის 1946-47 სასწავლო წლის გამოსაშვები XI კლასების ოქროსა და ვერცხლის შედალზე ჭარმოდგენილი კანდიდატების წერითი ნამუშევრების ეს ნაკლი შედეგია მათემატიკის ზოგიერთი მასწავლებლის დაბალი მომზადებისა, თავისთავზე სურტი მუშაობისა და ამ საქმისადმი ზოგი სკოლის დირექტორის, მასწავლებლისა და განათლების განყოფილების გამგრის უპასუხისმგებლობამ დამოკიდებულებისა, ვ ბ რ ძ ა ნ ვ ბ.

1. მათემატიკის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამოცანების ამოხსნის განტოლების შედეგნაზე, თეორიული მასალის გავლასთან პარალელურად აწარმოონ სისტემატური მუშაობა ამოცანების შედეგნაზე და მტკიცედ შესწავლონ მოსწავლებს: ა) უწოდის შერჩევა და მისი რაციონალურად აღნიშვნა, ბ) ამოცანის პირობების მიხედვით განალების შედეგნის ხერხები, გ) განტოლების ამოხსნის რაციონალური გზები, დ) მიღებული ფესვების ანალიზი და ე) ამ ფესვების შემოწმება ამოცანის პირობების მიხედვით.

2. სისტემატურად ტარდებოდეს საკონტროლო წერითი სამუშაო მათემატიკაში, მოსწავლეებს მოეთხოვოს განტოლების შედეგნისა და ამოხსნის შესახებ დასაბუთებული ასსნა-განმარტება, რატომ და როგორი დამოკიდებულება მყარდება მოცემულ და საძიებელ სიღიღეებს შორის, განტოლების თავიდანვე გამარტივება და ამოხსნის უმოქლესი გზით შესრულება, მიღებული ფესვების სრული ანალიზი და ფესვების შემოწმება ამოცანის პირობის მიხედვით; ყოველი საკონტრო-

ლო სამუშაოს გასწორების შემდეგ, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს
მოსწავლეებთან საუბარი ნამუშევრებში აღმოჩენილ ტიპიური შეკვე-
დომების შესახებ.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წერითი ნამუშევრების შეკვე-
დომების შესახებ გასწორებას; მასწავლებლის შეირ არც ერთი შეცდომა
შეუმჩნეველი და აღუნიშნავი არ დარჩეს; მათემატიკურ შეცდომებ-
თან ერთად აღნიშნულ იქნას ორთოგრაფიული და სტილისტური
შეცდომებიც, მოსწავლეებს მოეთხოვოს რეცენზირებული ნამუშევ-
რების სათანადოდ გასწორება.

4. სასტუდი კონტროლი დაწესოს დავალების დამოუკიდებ-
ლად შესრულებაზე, და არ იქნას დაშვებული მოსწავლეთა მიერ
ნამუშევრების ერთმანეთისაგან გადაწერა. გადაწერილი ნამუშევრე-
ბი შეფასდეს ყველა პირობებში „2“ ან „1“.

5. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგები
სისტემატურად დაქსტრონ შათებატიკის გაკვეთილებს, შეამოწმონ
წერითი ნამუშევრების ხარისხი და ხასიათი, თვალყური აღენონ
გასწორებისა და შეფასების სიზუსტეს და საჭირო შემთხვევაში მას-
წავლებელს მისცენ სათანადო მითითებანი.

6. განათლების განყოფილების გამგებმა მთელი წლის განმავ-
ლობაში სისტემატური კონტროლი დააწესონ და განახორციელონ
ყველა სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მეშაობაზე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი
და საშუალო სკოლის სამშართველომ დააწესოს კონტროლი ამ
ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. პუპჩაძე



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1947 ජූනි 11 පැයිස්තුම

საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი აღოცანის
შესახებ 1947/48 სასწავლო წელში.

აღნიშნავ, რომ საქართველოს სსრ სკოლებში სწავლის ვადის გახანგრძლივებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებას. გასული—1946-1947 სასწავლო წლის შედეგებმა ცხადდეკვეს, რომ თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა ღრმა ხარისხსობრივი ცვლილებების დასაბამი შეიქნა, რომ ჩენი სკოლების მოწინავე მასწავლებლობამ სათანადოდ გამოიყენა ის უპირატესობანი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, რაც სწავლის ვადის გადიდებით იქნა გამოწვეული.

არსებითად იქნა გაუმჯობესებული შოსტავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონე, რაც იმის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომ უკრაინალ „ზეეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კამიტეტის ისტორიული დადგრინილების და მის საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დასახული ღონისძიებების გატარებას სკოლები და განათლების ორგანოები დიდი პასუხისმგებლობით ეყიდვებოდნენ.

გასულ სასწავლო წელს საგრძნობლად იქნა გადიდებული მოსწავლეთა რიცხვი სკოლებში. სკოლების დიდია ნაწილმა 1946 წლის პირველ სექტემბრიდანვე ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა, — სწორად იქნა შედგენილი გაკვეთილების ცხრილები, ზუსტად ტარდებოდა სასწავლო რეესტრი, დიდი ყურადღება ექცეოდა აღმზრდელობით მუშაობას, დისკიპლინის განმტკიცებას მოსწავლეთა შორის, მასწავლებლობა სისტემატურად ეწავდებოდა და მაღალხარისხოვნად ატარებდა თითოეულ გაჭვითობს და სხვ.

რესპუბლიკის მრავალ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევოდა დედაენისა და ლიტერატურის სწავლებისას ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დონის მაღლებას, ლიტერატურულ ნაწარმოებთა შინაარსის საფუძვლიანად და ღრმად შესწავლას და ლიტერატურული მოვლენების სწორ, მარჯსის ტულ-ლენინურ ანალიზს;

რუსული ენის სწავლებისას სიტყვათა მარაგის გამდიდრებას, სიტყვათა და წინადადებათა სწორად და მართებულად გამოიქმნას, სწორად კითხვისა და წერის ჩვევათა გამომუშავებას მოსწავლების მათემათიკური დისკიპლინების სწავლებისას — სწრაფი ზეპირ-თველა ანგარიშის ჩვევების და სწორ, ლოგიკურად დასაბუთებული მათემატიკური ენის გამომუშავებას და იმ მიზნის მისაღწევად ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე სისტემატური ვარჯიშის წარმოებას; საბუნებისმეტყველო საგნების — ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების სწავლებისას — სასკოლო ექსპერიმენტის გამოყენებას და პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას, ფიზიკისა, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სასკოლო კაბინეტების შევსება-მოწესრიგებას. მნიშვნელოვნად იყო აგრძელებულ გაუმჯობესებული სამოქალაქო ისტორიისა, გეოგრაფიისა და სხვა საგნების სწავლებაც.

მოსწავლეთა კოდნის დონის ამაღლებას დიდად შეუწყობელი იმ გარემოებამ, რომ 1946-47 სასწავლო წელში ვარჯიშისა და განმეორების, გამოცდებისათვის მზადებისა და მოსწავლეთა წარმატების ზუსტად და ობიექტურად შეფასების საქმე სწორად იყო ორგანიზებული, — ვარჯიშისა და განმეორებას მთელი წლის განმავლობაში ექცეოდა საგანგებო ყურადღება, გამოცდებისათვის მზადება სკოლებში დროულად დაიწყო და კოდნის შეფასების საქმეში, გასულ წლებთან შედარებით, უფრო ნაკლებად ჰქონდა აღიღილი ლიბერალიზმს.

გამოცდებმა ცხიადმკუვეს, რომ რესპუბლიკის მრავალი სამუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, განსიკუთრებით ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, მახარაძისა და თელავის, ზესტაფონის, ხაშურის, სამტრედიის და სხვა რაიონების სკოლებიდან, კარგად არიან დაუფლებული მეცნიერებათა საფუძვლებს: წიგნიერია. ნაკითხია და სათანადოდ ერკევიან ლიტერატურულ მოვლენებში; სწორად მეტყველებენ რუსულ ენაზე; საფუძვლიან ცოდნას იჩენენ მათემატიკაში, სამოქალაქო ისტორიაში, გეოგრაფიაში; შევნებულად აქვთ ბოვნებული მეცნიერული კანონები, წესები, დებულებანი ბუნებათმეცნიერებიდან და შესწევთ უნარი ეს ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ.

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შესახებ ნათლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ წელს სიმწიფის ატესტატზე გამოცდები XI კლასის 11.373 მოსწავლიდან ჩააბარა 9771 მოსწავლემ, ანუ 95,8%, მაშინ, როდესაც 1945 წელს X კლასის 13.969 მოსწავლიდან გამოცდა ჩააბარა და ატესტატი მიიღო მხოლოდ

7635 მოსწავლებმ, ანუ 54,7%. სწავლების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების დამაღასტურებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ წელს ოქტომბერისა და ვერცხლის მედალი მიიღო 800-დე მოსწავლებმ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა თითქმის 90%, რომელიც წელს 319 ოქტომბერის მედალი იქნა გაცემული, ანუ მედლებით დაჯილდოვდა კურსდამთავრებულთა მხოლოდ 4%.

იმ შილწევებთან ერთად, რაც სწავლების ვადის გადიდების პირობებში ამ ერთი წლის—1946/47 სასწავლო წლის განმავლობაში იქნა მოპოვებული, იღვილი აქეს აგრეთვე მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. ეს ნაკლოვანებანი იმაში გამოიხატება, რომ სწავლია-აღზრდის ხაქმის გადატრით გაუმჯობესება მასობრივად გაერ კიდევ არ არის შილწეული და რესპუბლიკის დაწყებითი, რგაწლიანი და საშუალო სკოლების ხაკმათლ დიდი ნაწილი ვერ აძლევს მოსწავლეებს დაწესებულ პროგრამების ფარგლებში საფუძლიანსა და ლრმა ცოდნას.

საინსპექტორო განკველევის მისალები, წერითი ნამუშევრების ანალიზი და უმაღლეს სასწავლებლებში მისიღები გამოცდების შედეგები აღასტურებს, რომ რესპუბლიკის საშუალო სკოლების 1947 წლის კურსდამთავრებულთა ნაწილი საშუალო სკოლის კურსის არადამატიუროფილებელ ცოდნას იჩინს. დაბალი ცოდნა გამოამჟღავნება:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში — ზუგდიდის რაიონის: ორულებს, დარჩელის, რუხის, კახათისა, და ორსანტიის; ბოლნისის რ. ბოლნისის, კასპის რ. ლამისუანის, საგარევოს რ. სართიჭალის, ყვავრელის რაიონის შილდის, ვანის რაიონის შეაგორისა და ისრითის დაზოგირო სხვა საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

რუსულ ენაზე — ინის რაიონის ლების და უწერის, ქვემოსავანეთის რ. ჯახუნდრის, ქუთაისის რ. დერჩის, გარის, ზევერის, გალის რ. ოტობაიას, მარნეულის რ. შაუმიანის, ლანჩხუთის რ. ჩოჩიათის, ქ. ზუგდიდისა და წალენჯიხის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

მათემატიკურ დაცუციპლინებში — ამბოლაურის რაიონის ჭრებალოს, ქ. ახალქალაქის ქართული საშუალო, ქარელის რაიონის ბრეთის, ზნაურის რ. ავნევის, ლანჩხუთის რ. მაჯათისა და ნიგვზიანის, ვანის რ. საპრისიის, მახარაძის რ. ცხემლის ზიდის და რესპუბლიკის სხვა ზოგიერთ საშუალო სკოლების მოსწავლეებმა;

ფიზიკაში — თეორიულყაროს რაიონის მანგლისის რუსული საშუალო, ყაზბეგის რ, ყაზბეგის და სიონის, ქლუხორის ქართული საშუალო, ონის რ. ლების, წალენჯიხის რ. ლიის, მშროლიას კურიულის, ცრემულის, სახავაიას ჩ. ნოსირის, გურჯაანის რ. ველისციხის, და ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლებმა.

განსაკუთრებით მივაჭრე სკოლის მუშავთა ყურადღებას იმაზე, რომ სკოლების შინაგან ნაწილში, ყოველდღიურ სასწავლო მუშაობაში, ყურადღების ცენტრი გამოსაშებ კლასებში გადაიტანეს და სხვა კლასების მოსწავლენი მიიღიწყეს. მცირე არარის ისეთი საშუალო სკოლების რიცხვიც, სადაც ამ არაჯანსალმა ტენდენციამ კიდევ უფრო საზიანო ხილით მიიღო, რაც იმაში გამოხატა, რომ XI ქლასებში წინასწარ „შეარჩიეს“ ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა კანცილატები და პედაგოგთა კოლეგტივი უმთავრესად მათთან აწარმოებდა მუშაობას, დანარჩენი მოსწავლენი ყურადღების გარეშე რჩებოდნენ, მშირად მათი წარმატების შეფასება გამოცდებში ზერელედ წარმოებდა და ზოგიერთმა მათგანმა დაუმსახურებლად მიიღო საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი.

— სწავლა-აღზრდის საქმეში არსებულ ამ ნაკლოვანებათა უმთავრეს მიზეზად იმას ვთვლი, რომ:

ა) რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლობის ერთი ნაწილი სუსტად მუშაობს იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებაზე და ჯერ კიდევ სუსტია მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლი განათლების ორგანიზების მხრივ;

ბ) მრავალ სკოლაში დაქვეითებულია შრომითი დისკიპლინა, მოუწესრიგებელია სასწავლო რეენი; მოსწავლეთა მხრივ ადგალი აქვს ხშირ გაცდენებს, უმიზებოდ დაგვიანებებს, უდისციპლინობას;

გ) ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე თვით ვერ დგას მოწოდების სიმაღლეს, შესაფერი იყტორი-ტიტი არ გააჩნია, და ვერ ხელმძღვანელობს ყოველდღიურ მუშაობაში მასწავლებლობას, არ უწევს მათ კანტროლს და ვერ ახერხებს ერთიანად დარაზმოს მასწავლებლობა სწავლა-აღზრდის წინაშე მდგარ ამოცანების გადასაწყვეტალ;

დ) სკოლების ერთ ნაწილს ვერ კიდევ არ გააჩნია შესაფერი სასწავლო ბაზა, სასწავლო კაბინეტები, დიდაეტიკური ხელსაწყოები, სასკოლო ბიბლიოთეკები და ნაკლებად ჩანს ზრუნვა და ინიციატივა ამ საშუალებებით სკოლის უზრუნველსაყოფად.



საქართველოს სსრ დაწყებითი, რეაწლიანი და საშუალო სკოლებისა და განათლების ორგანოების წინაშე 1947-1948 სასწავლო წელს დასახულ იქნეს შემდეგი ძირითადი იმოცანები:

1. სწავლების გარეშე დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სრულად ჩამდინარებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნება;

2. სკოლის მუშავთა შორის შრომითი დისკიპლინის შემდგომი განმტკიცება, დადგენილი სასკოლო რეეიმის განუხრელად და ზუსტად გატარება;

3. აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება და მოსწავლეთა შორის მტკიცე დისკიპლინის დანერგვა;

4. არა გამოსაშვები ქლასებისა და დაბალი და საშუალო წარმატების მოსწავლეთათვის ჯეროვანი ყურადღების მიჰყრობა და სკოლის მუშავთა შორის იმ არაჯანსალი განწყობილების აღვეთა, რომლის საფუძველზე, მრავალ სკოლაში არაგამოსაშვებ ქლასებსა და დაბალი და საშუალო წარმატების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა მეორე ხარისხოვან იმოცანად იყო მიჩნეული;

5. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლება და ამ მიზნით სათანადო მუშაობის ჩატარება დედაენისა, რუსული ენის, ისტორიისა, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების გაკვეთილებზე;

